



ენერგობაზრის მიმოხილვა

I-II კვარტალი 2022

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკონტაქტი:

მარიამ წულუკიძე
ხელმძღვანელის მოადგილე

 m.tsulukidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
მკვლევარი

 erekle.shubitidze@iset.ge

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

- 2022 წლის პირველსა და მეორე კვარტალში ელექტროენერჯის წარმოება 2021 წლის ანალოგიურ პერიოდებთან შედარებით გაიზარდა, შესაბამისად, 27.9%-ით და 35.3%-ით.
- 2022 წლის პირველსა და მეორე კვარტალში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად გაიზარდა, შესაბამისად, 13%-ით და 9.9%-ით.
- წლის პირველსა და მეორე კვარტალში ელექტროენერჯის იმპორტი არსებითად შემცირდა (-17% და -53%), ხოლო ექსპორტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა (+123% და 88%).
- 2022 წლის პირველსა და მეორე კვარტალში წარმოების HHI მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდებთან შედარებით, შემცირდა.
- მოხმარების HHI მაჩვენებელი წლის პირველ კვარტალში შემცირდა, ხოლო მეორე კვარტალში გაიზარდა.

ბუნებრივი აირის მიწოდება

- 2021 წელთან შედარებით, 2022 წლის პირველსა და მეორე კვარტალში ბუნებრივი აირის მიწოდება გაიზარდა (+14.2% და +29.9%).
- არ არის გასაკვირი, რომ ბაზარზე მოწოდებული ბუნებრივი აირის 100% აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან იქნა შემოტანილი, სადაც აზერბაიჯანს ყველაზე დიდი წილი აქვს მთლიან მიწოდებაში.
- 2021 წელთან შედარებით, 2022 წლის პირველსა და მეორე კვარტალში, ასევე, გაიზარდა ბუნებრივი აირის იმპორტის ფასები.
- ბუნებრივი აირის HHI ინდექსმა საცალო ბაზრისათვის, გასული კვარტლების ვარდნის შემდეგ, ორივე კვარტალში მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელს გადააჭარბა, თუმცა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაკლებად კონცენტრირებული იყო.
- ბუნებრივი აირის საბითუმო ბაზარი ორივე კვარტალში შენარჩუნდა მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ზღვრის ზემოთ და უფრო კონცენტრირებული იყო, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდებში.

ნავთობპროდუქტების მიწოდება

- 2022 წლის პირველსა და მეორე კვარტალში ნავთობპროდუქტების მთლიანი მიწოდება გაიზარდა, შესაბამისად, +21.8%-ით და +1%-ით.
- ნავთობის იმპორტის მოცულობა წლის პირველსა და მეორე კვარტალში გაიზარდა, ხოლო ექსპორტი პირველ კვარტალში შემცირდა, მეორე კვარტალში კი გაიზარდა.
- დიზელის იმპორტი წლის პირველ კვარტალში გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტალში - შემცირდა.
- საქართველოში ნავთობის იმპორტის უმეტესი ნაწილი ორივე კვარტალში შემოვიდა ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და რუსეთიდან.
- დიზელის იმპორტის უდიდესი ნაწილი ორივე კვარტალში შემოვიდა აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქმენეთიდან და რუმინეთიდან.
- გასაკვირი არ არის, რომ ნავთობისა და დიზელის იმპორტის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა წლის პირველსა და მეორე კვარტალში.

აბრევიატურა


მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მწოდებისთვის
Q1	პირველი კვარტალი
Q2	მეორე კვარტალი

წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში, შესაბამისად, 3,107 მლნ და 3,663 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1), რაც სრული წარმოების 27.9% და 35.3%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წლის იმავე პერიოდთან მიმართებით (2021 წლის პირველ კვარტალში (Q1) სრული წარმოება 2,429 მლნ კვტსთ-ს შეადგენდა, ხოლო მეორე კვარტალში (Q2) – 2,708 მლნ კვტსთ-ს). 2022 წლის პირველ კვარტალში წარმოების ზრდა დიდწილად თბო (+26.1%) და ჰიდროელექტროსადგურების (+30.1%) გამომუშავებული ენერჯის ზრდამ განაპირობა, რამაც დააკომპენსირა ქარის ელექტროსადგურების გამომუშავების 5.2%-იანი კლება. მეორე კვარტალში წარმოების ზრდა დაკავშირებულია თბო (120.2%) და ჰიდროელექტროსადგურების (27.3%) წარმოებული ენერჯის ზრდასთან, რამაც დააკომპენსირა ქარის ელექტროსადგურების გამომუშავების 12%-იანი კლება.

2022 წელს ელექტროენერჯის მოხმარება ადგილობრივ ბაზარზე პირველ კვარტალში 3,920 მლნ კვტსთ-ს გაუტოლდა, მეორე კვარტალში კი – 3,660 მლნ კვტსთ-ს (2021 წლის პირველ და მეორე კვარტალთან შედარებით, შესაბამისად, +13% და +9.9%) (დიაგრამა 1). ენერჯის საერთო მოხმარებამ პირველ კვარტალში წარმოებას 813 მლნ კვტსთ-ით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 26.2%-ს შეადგენდა, ხოლო მეორე კვარტალში – 4 მლნ კვტსთ-ით, რაც სრული წარმოების 0.1%-ს გაუტოლდა. 2021 წლის პირველ კვარტალში სრულმა მოხმარებამ წარმოების 1,040 მლნ კვტსთ-ით¹ გადააჭარბა, რაც სრული წარმოების დაახლოებით 42.8%-ს შეადგენდა, მეორე კვარტალში კი სრულ წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 623 მლნ კვტსთ-ის დეფიციტი გამოიწვია, რაც სრული წარმოების დაახლოებით 18.7%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 1 | ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი (ესკო)


2022 წლის როგორც პირველ, ისე მეორე კვარტალში წარმოების უდიდესი ნაწილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. ჰესების წარმოებულმა ელექტროენერჯიამ კვარტალების შესაბამისად შეადგინა 1,638 მლნ კვტსთ (Q1)

¹ ენერჯის ჰიდროელექტროსადგური 3 თვის განმავლობაში (იანვრის ბოლოდან აპრილამდე) რეაბილიტაციას გადიოდა და დახურული იყო, რამაც წარმოების შემცირება განაპირობა და შესაბამისად გაზარდა დეფიციტი.


ენერგობაზრის მიმოხილვა | ელექტროენერჯის სექტორი – წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

(სრული წარმოების 52.7%) და 3,107 მლნ კვტს (Q2) (სრული წარმოების 84.8%) (დიაგრამა 3), ხოლო თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოებული ელექტროენერჯია გაუტოლდა 1453 მლნ კვტს-ს (Q1) (სრული წარმოების 46.7%) და 534 მლნ კვტს-ს (Q2) (სრული წარმოების 14.6%), (დიაგრამა 4). დარჩენილი ენერჯია კი ქარის ელექტროსადგურებიდან იყო გამოძუშავებული და წლის პირველ და მეორე კვარტალში, შესაბამისად, შეადგინა 17 მლნ კვტს (Q1) (სრული წარმოების 0.5%) და 22 მლნ კვტს (Q2) (სრული წარმოების 0.6%) (დიაგრამა 5).


დიაგრამა 2 | ელექტროენერჯის გამოძუშავება წყაროების მიხედვით



დიაგრამა 3 | ჰესების გამოძუშავება და მათი წილი მთლიან წარმოებაში




დიაგრამა 4 | თესების გამომუშავება და მათი წილი მთლიან წარმოებაში



წყარო: ესკო

დიაგრამა 5 | ქარის სადგურის გამომუშავება და მისი წილი მთლიან წარმოებაში




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო/ეპ ჯორჯია (პირველ კვარტალში – 29% – 1,138 მლნ კვტსთ და მეორე კვარტალში – 28.7% – 1,050 მლნ კვტსთ); აფხაზეთი (პირველ კვარტალში – 24.9% – 978 მლნ კვტსთ და მეორე კვარტალში – 23.1% – 846 მლნ კვტსთ); თელასი/თელმიკო (პირველ კვარტალში – 20.6%-809 მლნ კვტსთ და მეორე კვარტალში – 19.5% -715 მლნ კვტსთ) და პირდაპირი/უშუალო მომხმარებლები (პირველ კვარტალში – 25.3% – 992 მლნ კვტსთ და მეორე კვარტალში – 28.5% – 1,044 მლნ კვტსთ (დიაგრამა 6). პირველ კვარტალში მოთხოვნა აფხაზეთიდან, თელასი/თელმიკოდან და პირდაპირი მომხმარებლებიდან, შესაბამისად, 8.2%, 12.2% და 47.2%-ით გაიზარდა, ხოლო ენერგო პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯიადან წლიურად 2.2%-ით შემცირდა. მეორე კვარტალში მოთხოვნა აფხაზეთიდან, თელასი/თელმიკოდან და პირდაპირი

ენერგობაზრის მიმოხილვა | ელექტროენერჯის სექტორი – წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

მომხმარებლებიდან, შესაბამისად, 8%, 8.3% და 34%-ით გაიზარდა, თუმცა, ენერგო პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯიადან – 4.6%-ით შემცირდა.²

დიაგრამა 6 | ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში საქართველოში, შესაბამისად, 971 მლნ და 411 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია შემოვიდა იმპორტის სახით (2021 წელს იმპორტირებულ 1,167 მლნ და 873 მლნ კვტსთ-თან შედარებით), რომლის 19.1% და 3.6%, შესაბამისად, აზერბაიჯანიდან, 66.9% და 95.8% – რუსეთიდან,³ ხოლო 14% და 0.6% – სომხეთიდან შემოვიდა (დიაგრამა 7). იმავე პერიოდში საქართველოდან 3 მლნ და 270 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გავიდა ექსპორტის სახით (2021 წელს ექსპორტირებულ 1 და 143 მლნ კვტსთ-თან შედარებით), რომლის 99.96% თურქეთში იყო ექსპორტირებული, ხოლო 0.04% – აზერბაიჯანში პირველ კვარტალში, ხოლო მეორე კვარტალში – 80.6% თურქეთში, 3.3% – აზერბაიჯანში, 16.1% – სომხეთში, 0.01% კი – რუსეთში (დიაგრამა


² 2021 წლის 1 ივლისიდან ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის ახალი კონცეფციის შემუშავებისა და დამტკიცების შემდეგ, განაწილების/დისტრიბუციისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, ბაზარზე მოთამაშეთა სამი განსხვავებული კატეგორია მივიღეთ: განაწილების/დისტრიბუციის ლიცენზიანტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სადისტრიბუციო საქმიანობაზე და სადისტრიბუციო ქსელში ზიანის ანაზღაურებაზე; უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საყოფაცხოვრებო მოხმარების ელექტროენერჯისა და მცირე საწარმოებისთვის ელექტროენერჯის მიწოდებაზე და საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ელექტროენერჯის მიწოდებაზე საშუალო და მსხვილი საწარმოებისთვის მათ შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი კვლავ აგრძელებენ საკუთარ სადისტრიბუციო საქმიანობას, ხოლო ეპ ჯორჯია მიწოდება და თბილისის ელექტრომომარაგების კომპანია მათ გამოეყენენ და ითავსებენ როგორც უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლების, ისე საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციების როლს.

³ რუსული იმპორტი დიდწილად იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ელექტროსადგური, ენგურჰესი, წლის პირველ ნახევარში (იანვარი-აპრილი) რეაბილიტაციის პროცესს გადიოდა, რის გამოც აფხაზეთიდან წამოსული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ელექტროენერჯის რუსეთიდან იმპორტი გახდა საჭირო.

ენერგობაზრის მიმოხილვა | ელექტროენერჯის სექტორი – წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა


8). 2022 წლის პირველ და მეორე კვარტლებში ელექტროენერჯის ტრანზიტმა 557 მლნ და 262 მლნ კვტსტ შეადგინა, რომლის 100% პირველ კვარტალში აზერბაიჯანიდან თურქეთში გავიდა, ხოლო მეორე კვარტალში – 67.9% რუსეთიდან თურქეთში, ხოლო 32.1% – სომხეთიდან თურქეთში.

დიაგრამა 7 | ელექტროენერჯის იმპორტი



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 | ელექტროენერჯის ექსპორტი




წყარო: ესკო

ენერგობაზრის მიმოხილვა | ელექტროენერჯის სექტორი – წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიური მაჩვენებლით 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში, შესაბამისად, 18.2%-ით და 46.4%-ით გაიზარდა აშშ დოლარში, ხოლო ლარში – ორივე კვარტალში, შესაბამისად, 9.6%-ით და 38.2%-ით (2021 წელს არსებული 2.45 ლ და 8.06 თეთრიდან კვტს-ზე (პირველ კვარტალში) და 2.18 ლ და 7.33 თეთრიდან კვტს-ზე (მეორე კვარტალში), 2022 წელს, შესაბამისად, 2.89 ლ და 8.83 თეთრამდე კვტს-ზე და 3.2 ლ და 10.14 თეთრამდე კვტს-ზე). ელექტროენერჯის ექსპორტის საშუალო წლიური შეწონილი ფასი 2022 წლის პირველ კვარტალში 16.4%-ით გაიზარდა აშშ დოლარში და 8.7%-ით – ლარში (2021 წლის პირველ კვარტალში არსებული 6.45 ლ და 21.25 თეთრიდან კვტს-ზე 7.50 ლ და 23.11 თეთრამდე კვტს-ზე 2022 წლისთვის) (დიაგრამა 10). ხოლო 2022 წლის მეორე კვარტალში ექსპორტის ფასი აშშ დოლარში გაიზარდა 171.1%-ით, ხოლო ლარში – 137.9%-ით (2021 წლის მეორე კვარტალში 3.23 ლ და 10.92 თეთრიდან კვტს-ზე 2022 წლისთვის 8.74 ლ და 25.97 თეთრამდე).

დიაგრამა 9 | ელექტროენერჯის იმპორტის და ექსპორტის ფასები




წყარო: ესკო

რუსეთიდან იმპორტის ფასები წლის პირველ კვარტალში სტაბილურად 0.76 ლ და 2.34 თეთრი იყო კვტს-ზე,⁴ მაშინ როცა აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე ფასი 6.99 ლ და 21.38 თეთრს შეადგენდა კვტს-ზე, ხოლო სომხეთიდან – 7.45 ლ და 22.67 თეთრს კვტს-ზე. მეორე კვარტალში რუსეთის იმპორტის ფასი 3.05 ლ და 9.71 თეთრს გაუტოლდა კვტს-ზე, აზერბაიჯანის ფასი – 6.86 ლ და 21.09 თეთრს კვტს-ზე, ხოლო სომხეთის ფასი – 4.43 ლ და 14.35 თეთრს კვტს-ზე (დიაგრამა 10).

⁴ რუსეთი ამ ფასებში ელექტროენერჯიას აფხაზეთს აწვდიდა.


დიაგრამა 10 | ელექტროენერჯის იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო

პირველ კვარტალში ექსპორტის ფასები აზერბაიჯანსა და თურქეთში შეადგენდა, შესაბამისად, 4 ჯ ან 12.32 თეთრს და 7.50 ჯ ან 23.10 თეთრს. მაშინ, როცა მეორე კვარტალში ექსპორტის ფასები სომხეთსა და თურქეთში, შესაბამისად, 4.01 ჯ ან 12.06 თეთრს შეადგენდა, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთში, შესაბამისად, – 6.50 ჯ ან 19.31 თეთრს და 2.27 ჯ ან 7.34 თეთრს (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11 | ელექტროენერჯის ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო


ელექტროენერჯის ბაზრის კონცენტრაცია

ბაზრის კონცენტრაციის ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი (HHI) გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო ბაზრის წარმოებისა და მოხმარების სეგმენტები წლის განმავლობაში. 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზარი იყო მნიშვნელოვნად კონცენტრირებული და კონცენტრირებული ბაზრების შუალედში, რომელთა HHI მაჩვენებელი, შესაბამისად, 1,591-ს და 1,659-ს უტოლდებოდა (დიაგრამა 12). პირველ კვარტლის მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო 2021 წლის იმავე კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით და 1,616-ს უტოლდებოდა, ხოლო მეორე კვარტლის დონე უფრო მაღალი იყო, 2021 წლის იმავე კვარტლის მაჩვენებელთან (946) შედარებით. სამომხმარებლო სეგმენტში იმავე პერიოდის განმავლობაში, HHI მოხმარების ინდექსების მაჩვენებლები შემცირდა, თუმცა მაინც შეინარჩუნა პოზიცია მაღალი კონცენტრირებული და კონცენტრირებული ბაზრების ზღვრებს შორის (2021 წლის მაჩვენებლებთან შედარებით – 2,317 და 2,109) წლის პირველ კვარტალში 1,968-იანი HHI მაჩვენებლით და წლის მეორე კვარტალში 1,835 HHI მაჩვენებლით (დიაგრამა 13).

დიაგრამა 12 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის



დიაგრამა 13 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ელექტროენერჯის მოხმარებისთვის




წყარო: ესკო

ბუნებრივი აირის მიწოდება: მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში ბუნებრივი აირის მიწოდებამ, შესაბამისად, შეადგინა 1,201 და 731 მლნ კუბური მეტრი (14,2% და 29.9%-იანი ზრდა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ 1,052 და 563 მლნ კუბურ მეტრთან შედარებით), რომელთაგან 318 მლნ და 118 მლნ კუბური მეტრი (სრული მიწოდების 26.4% და 16.1%) თბოელექტროსადგურების მიერ იყო მოხმარებული (2021 წლის ანალოგიურ პერიოდში მოხმარებული 236 მლნ და 47 მლნ კუბურ მეტრთან შედარებით – 34.8%-იანი და 150%-იანი ზრდა). დარჩენილი ნაწილი კი ადგილობრივ ბაზარზე იყო მიწოდებული (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 | ბუნებრივი აირის სრული მიწოდება/წარმოება და მოხმარება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)


2022 წლის იმავე პერიოდში იმპორტირებული იყო ბუნებრივი აირის 99.7% (Q1) და 99.5% (Q2), ხოლო დარჩენილი ნაწილი ადგილობრივად იყო წარმოებული (დიაგრამა 15).

დიაგრამა 15 | ადგილობრივად წარმოებული და იმპორტირებული გაზის წილი



2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში საქართველოში, შესაბამისად, 1,217 და 740 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი შემოვიდა იმპორტის სახით (13.8% და 29.8%-იანი ზრდა 2021 წლის იმავე პერიოდებში იმპორტირებულ 1,069 მლნ და 570 მლნ კუბურ მეტრთან შედარებით). იმპორტირებული ბუნებრივი აირის 87.8% (Q1) და 87.5% (Q2) აზერბაიჯანიდან იყო მოწოდებული, ხოლო დარჩენილი 12.2% (Q1) და 12.5% (Q2) – რუსეთიდან (დიაგრამა 16).

დიაგრამა 16 | ბუნებრივი აირის იმპორტი ქვეყნების მიხედვით




ბუნებრივი აირის იმპორტის საშუალო შეწონილმა ფასმა აშშ დოლარში წლიური მაჩვენებლებით წლის პირველ კვარტალში 13.3%-ით მოიმატა, ხოლო მეორე კვარტალში – 18.6%-ით. ლარში ფასი კი წლის პირველ და მეორე კვარტალში, შესაბამისად, 5.3% და 11.6%-ით გაიზარდა (2021 წელს არსებული 12.49 ლარი ან 41.17 თეთრიდან ერთ

ენერგობაზრის მიმოხილვა | ბუნებრივი აირის სექტორი – სრული წარმოება და მოხმარება

კუბურ მეტრზე (Q1) და 11.20 ჟ ან 37.73 თეთრიდან ერთ კუბურ მეტრზე (Q2) 14.14 ჟ ან 43.34 თეთრამდე ერთ კუბურ მეტრზე (Q1) და 13.29 ჟ ან 42.11 თეთრამდე ერთ კუბურ მეტრზე (Q2) 2022 წელს) (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 | ბუნებრივი აირის იმპორტის ფასები



წყარო: სემევი

2022 წლის პირველ კვარტალში რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი ერთ კუბურ მეტრზე 17 ჟ – 52.1 თეთრს შეადგენდა, ხოლო აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი – 13.75 ჟ – 42.11 თეთრს ერთ კუბურ მეტრზე, მეორე კვარტალში კი რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი ერთ კუბურ მეტრზე 17 ჟ – 54.93 თეთრს შეადგენდა, ხოლო აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი – 12.76 ჟ – 40.28 თეთრს ერთ კუბურ მეტრზე (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 | ბუნებრივი აირის იმპორტი




წყარო: სემევი

ბუნებრივი აირის ბაზრის კონცენტრაცია


ბაზრის კონცენტრაციის ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი (HHI) გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო ბუნებრივი აირის საცალო და საბითუმო ბაზრები წლის განმავლობაში. 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში საცალო ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებულ საბაზრო ზღვარს ასცდა ბოლო კვარტალებში ვარდნის შემდეგ და HHI მაჩვენებელი, შესაბამისად, 2,663 და 2,639-ს გაუტოლდა (დიაგრამა 19). პირველ და მეორე კვარტლის მაჩვენებლები 2021 წლის პირველ და მეორე კვარტლის მაჩვენებლებთან შედარებით, რომელიც 2,720 და 2,999-ს შეადგენდა, უფრო დაბალი იყო. ბაზრის საბითუმო სექტორში, იმავე პერიოდის განმავლობაში, ინდექსები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ზღვარს მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრისთვის, 3,140 და 3,169-იანი HHI მაჩვენებლებით, რაც მცირედით აღემატებოდა 2021 წლის შესაბამისი პერიოდების HHI მაჩვენებლებს (HHI მაჩვენებლები 2021 წლის პირველ და მეორე კვარტლისთვის 3,086 და 3,129-ს შეადგენდა) (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი საცალო ბაზრებისთვის



წყარო: სემეკი

დიაგრამა 20 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი საბითუმო ბაზრებისთვის




წყარო: სემევი

ნავთობპროდუქტების მიწოდება: მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში ნავთობპროდუქტების ჯამურმა მიწოდებამ, შესაბამისად, 370.1 და 338 ათასი ტონა შეადგინა (+21.8% და +1% 2021 წელთან შედარებით) (დიაგრამა 21).


დიაგრამა 21 | ნავთობპროდუქტების ჯამური მიწოდება



წყარო: საქსტატი


2022 წლის პირველ ორ კვარტალში იმპორტის სახით 142.46 და 142.74 ათასი ტონა ბენზინი (2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით +11.3% და +3.7%) და 180.95 და 147.65 ათასი ტონა – დიზელი შემოვიდა (2021 წელთან შედარებით, შესაბამისად, +20.5% და -4.3%) (დიაგრამა 22). ამავე პერიოდში ბენზინის ექსპორტმა 0.32 და 3.04 ათასი ტონა შეადგინა (2021 წელს, შესაბამისად, 0,79 და 0,5 ათასი ტონის ექსპორტთან შედარებით), ხოლო დიზელის ექსპორტმა – 6,01 და 5,97 ათასი ტონა (-13.2% და +31.5% 2021 წელთან შედარებით) (დიაგრამა 23).

დიაგრამა 22 | ბენზინისა და დიზელის იმპორტი



წყარო: საქსტატი


დიაგრამა 23 | ბენზინისა და დიზელის ექსპორტი



წყარო: საქსტატი

2022 წლის პირველ კვარტალში, ბენზინი საქართველოში თორმეტი სახელმწიფოდან შემოვიდა. თუმცა, მთლიანი იმპორტის 79.4% სამ ძირითად იმპორტიორ ქვეყანაზე მოდიოდა: რუმინეთი (44.6%), ბულგარეთი (24.4%) და რუსეთი (10.4%). მეორე კვარტალში საქართველომ ბენზინი თხუთმეტი ქვეყნიდან შემოიტანა. თუმცა, მთლიანი იმპორტის 91.4% რუსეთიდან (48.1%), ბულგარეთიდან (22.5%) და რუმინეთიდან (20.8%) შემოვიდა (დიაგრამა 24).

დიაგრამა 24 | ქვეყნების წილი ნავთობის მთლიან იმპორტში




წყარო: საქსტატი

ენერგობაზრის მიმოხილვა | ნავთობპროდუქტების სექტორი – მიწოდება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის პირველ კვარტალში დიზელის იმპორტი საქართველოში ორმოცდარი ქვეყნიდან შემოვიდა. თუმცა, მთლიანი იმპორტის 76.2% მოდიოდა ოთხ ძირითად იმპორტიორ ქვეყანაზე: აზერბაიჯანი (32.2%), რუსეთი (18.3%), თურქმენეთი (16.7%) და რუმინეთი (9%). წლის მეორე კვარტალში საქართველომ დიზელი იმპორტის სახით ჯამში ორმოცდახუთი ქვეყნიდან შემოიტანა. თუმცა, 82% შემოვიდა რუსეთიდან (27.4%), თურქმენეთიდან (27%), რუმინეთიდან (14.3%) და აზერბაიჯანიდან (13.3%) (დიაგრამა 25).


დიაგრამა 25 | ქვეყნების წილი დიზელის მთლიან იმპორტში



წყარო: საქსტატი

ნავთობის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასები აშშ დოლარში 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში წლიური მაჩვენებლით 68.7%-ით და 56.2%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში, შესაბამისად, – 56.5%-ით და 42.3%-ით (46 ჟ ან 1.52 ლარიდან (Q1) და 60 ჟ ან 2,04 ლარიდან (Q2) ლიტრზე, 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში, შესაბამისად, 78 ჟ ან 2,38 ლარამდე და 94 ჟ ან 2,91 ლარამდე ლიტრზე 2022 წელს). დიზელის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასები აშშ დოლარში 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში წლიური მაჩვენებლით 57.2%-ით და 92.4%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში პირველ და მეორე კვარტალში – შესაბამისად, 46%-ით და 74.5%-ით (48 ჟ ან 1,59 ლარიდან და 58 ჟ ან 1,95 ლარიდან ლიტრზე 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში, შესაბამისად, 76 ჟ ან 2,32 ლარამდე და 111 ჟ ან 3,41 ლარამდე ლიტრზე 2022 წელს) (დიაგრამა 26).

დიაგრამა 26 | ნავთობისა და დიზელის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი



რაც შეეხება ნავთობის ექსპორტის ფასებს, 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში შეწონილი ფასი წლიური მაჩვენებლით აშშ დოლარში 62.5%-ით და 76.6%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში, შესაბამისად – 48.3%-ით და 57.6%-ით (2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში 55 ლარიდან (Q1) და 67 ლარიდან (Q2) ლიტრზე, შესაბამისად, 89 ლარიდან (Q1) და 118 ლარიდან (Q2) ლიტრზე 2022 წელს). დიზელის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი აშშ დოლარში 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში წლიური მაჩვენებლით 34.2%-ით და 48.3%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში, შესაბამისად, – 25.2%-ით და 33.6%-ით (2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში 61 ლარიდან (Q1) და 76 ლარიდან (Q2) ლიტრზე, 81 ლარიდან (Q1) და 112 ლარიდან (Q2) ლიტრზე 2022 წელს) (დიაგრამა 27).

დიაგრამა 27 | ნავთობისა და დიზელის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი

